დებულება

სტუდენტთა სამეცნიერო წრის შესახებ

1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში ,,უნივერსიტეტი”) სტუდენტთა სამეცნიერო წრის შინაარსს და საქმიანობის წესს.

2. სტუდენტთა სამეცნიერო წრეში მოიაზრება უნივერსიტეტის სამივე საფეხურის (ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის) სტუდენტების გაერთიანება, მათ მიერ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შესრულების ორგანიზებისათვის.

2. სტუდენტთა სამეცნიერო წრის მიზნები

1. სტუდენტთა სამეცნიერო წრის მიზნებია:

ა) სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის სათანადო გარემოს შექმნა;

ბ) სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და განვითარება.

გ) სტუდენტთათვის სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის ხელშეწყობა.

3. სტუდენტთა სამეცნიერო წრის ფუნქციონირება

1. სტუდენტთა სამეცნიერო წრეები იქმნება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და ფუნქციონირებს უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე.

2. თითოეულ ფაკულტეტზე შექმნილი წრეები შეიძლება შეესაბამებოდეს ფაკულტეტზე არსებულ მიმართულებებს. ასევე დასაშვებია სტუდენტთა ინტერდისციპლინური (მათ შორის ფაკულტეტთაშორისი) სამეცნიერო წრეების შექმნა.

4. სტუდენტთა სამეცნიერო წრის შემადგენლობა

1. სტუდენტთა სამეცნიერო წრე ძირითადად შედგება მოცემული ფაკულტეტის კონკრეტული მიმართულების სტუდენტებისაგან. მასში ასევე შეძლება გაერთიანდნენ სხვა მიმართულებებისა და სხვა ფაკულტეტების სტუდენტებიც (ინტერდისციპლინური სამეცნიერო წრე).

3. სტუდენტთა სამეცნიერო წრის წევრობა სტუდენტებისათვის ნებაყოფლობითია.

5. სამეცნიერო ხელმძღვანელობა

1. სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, რომელსაც უნდა ჰქონდეს დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი. სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს არაუმეტეს 3 წლის განმავლობაში.

2. სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი ვალდებულია სტუდენტებს დაეხმაროს მათთვის საინტერესო საკვლევი თემატიკისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევასა და მასთან დაკავშირებაში, წრის სხდომების და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების, სტუდენტთა ნაშრომების გამოცემის ორგანიზებაში. სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი უფლებამოსილია მოიწვიოს მეცნიერების შესაბამისი წამყვანი დარგის სპეციალისტი სტუდენტთა სამეცნიერო წრესთან შეხვედრის ორგანიზებისთვის.

3. სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელს შეარჩევს ფაკულტეტის თითოეული მიმართულება და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო ხმათა უბრალო უმრავლესობით. სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელის მოადგილე აირჩევა ხმათა უბრალო უმრავლესობით წრის წევრთაგან, შესაბამისი იერარქიის

გათვალისწინებით - არსებობის შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა არჩეული შეიძლება იყოს წრის დოქტორანტი წევრი, ასეთი წევრის არასებობის პირობებში - მაგისტრანტი წევრი, ხოლო მაგისტრანტი წევრის არყოფნის შემთხვევაში - წრის ბაკალავრი წევრი. სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს წრის ხელმძღვანელის მოადგილის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

4. სტუდენტთა ინტერდისციპლინური სამეცნიერო წრის ხელმძღვანელს შეარჩევს და ამტკიცებს იმ ფაკულტეტის საბჭო, რომელზედაც იქმნება მოცემული სამეცნიერო წრე.

5. სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე და ყოველი სასწავლო წლის დასასრულს მას წარუდგენს წრის სხდომაზე დამტკიცებულ ანგარიშს წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ. თუ ფაკულტეტის საბჭო მიიჩნევს, რომ სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელის მიერ გაწეული მუშაობა არადამაკმაყოფილებელია, ის დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით თავისუფლდება სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობიდან.